



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მასაჟისტი
2	პრაქტიკა დასახელება	სასწავლო პრაქტიკა
3	პრაქტიკის ხანგრძლივობა	1 კრედიტი-25 საათი, 10 კრედიტი - 250 საათი, 8,3 კვირა, აქედან პრაქტიკული მუშაობა - 225 სთ, გამოცდა - 25 სთ.
4	პრაქტიკის შინაარსი	სასწავლო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს სასწავლო გარემოში - სპეციალურად მოწყობისლ სადემონსტრაციო ოთახში - ექმნება პირობები თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ქმედებაში გადასატანად და სავარჯიშოდ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მან პაციენტის საწოლთან პრაქტიკის გავლამდე უნდა შეიძინოს თავისი კვალიფიკაციის შესაფერისი პროფესიული უნარები სიმულირებულ გარემოში. პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ხდება სხვადასხვა სირთულის ამოცანების გადასაჭრელად კონკრეტული შემთხვევა-მაგალითების განხილვა-დამუშავება, ოპტიმალური ჩარევის დაგეგმვა და შემდგომ პრაქტიკული მუშაობა.
5	მიზანი	სასწავლო პრაქტიკის მიზანია პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული თემატიკის გაცნობიერების შემდეგ, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის მისაღწევად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალებები სამკურნალო მასაჟის ძირითადი კონცეპციების, ასაკობრივი ნორმების, დაავადებათა თავისებურებების და სანიტარული ნორმების გათვალისწინებით; აგრეთვე დაეუფლოს მასაჟისთვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების სწორი გამოყენების ტექნიკას. გარდა ამისა, მთელი სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი სიმულირებულ გარემოში თავის მეგობრებსა და ხელმძღვანელებთან ერთად მუშაობის დროს სწავლობს სწორი ურთიერთობის წარმართვას პაციენტთან, მის უახლოეს სოციუმთან და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან.
6	შესწავლის წინაპირობები	თეორიული კურსის გავლა სამედიცინო მასაჟში
7	სასწავლო საქმიანობა და სწავლის მეთოდები	შემთხვევა-მაგალითების განხილვა; დისკუსია; ჩვენება (დემონსტრირება) სადემონსტრაციო ოთახში; ჩარევის დაგეგმვა; სამასაჟე საწოლებთან მცირე, 3-კაციან ჯგუფებში ვარჯიში (თითოეული სტუდენტი ვარჯიშობს პაციენტის, მასაჟისტის და დამკვირვებლის ამპლუაში).
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. თითოეული საკითხი ფასდება 0-7ქულით, სულ 42 ქულა, ერთი შუალედური გამოცდა 0 - 9 ქულა, სულ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების ჩათვლით 30 ქულა.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

9	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა	სათანადოდ აღჭურვილი სადემონსტრაციო ოთახი ფუნქციური საწოლებით და სამასაჟე ტახტებით, მოსავლელი მასალებით და დამხმარე საშუალებებით, ჩონჩხი, ანატომიური მულიაჟები და ვიდეომასალა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, ანატომიური ატლასები და ტაბულები თვალსაჩინოებისთვის.
10	სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს: (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები). სასწავლო პრაქტიკის გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი მზადაა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით პაციენტთან იმუშაოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. მან იცის სამკურნალო მასაჟის ძირითადი კონცეპციების პრაქტიკაში გამოყენება, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით მუშაობა, მასაჟისთვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების გამოყენება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით. სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით. ის შეძლებს ავადმყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, საკუთარი უნარების განვითარებასა და პაციენტის სწავლებაში ხელშეწყობას ადამიანური ღირსების შესატყვისად.
11	მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია	ლია ავალიანი - ექიმი რეაბილიტოლოგი, ტელ.: 995 593168461; ლალი ზაუტაშვილი - რიტმული მასაჟის სპეციალისტი, ტელ.: 995 599202495; ჰაიკე დამსი - ხელმძღვანელი განათლების სფეროში, მასაჟისტი, ტელ.: +41 627710647.

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით			
სასწავლო პერიოდი (დღე)	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა
1 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 სთ	სამედიცინო მასაჟი ძვალ-სახსროვანი (ართროზები) დაავადებების დროს, სქოლიოზებისა და ხერხემლის სხვა დეფორმაციების დროს, ბრტყელტერფიანობის დროს.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
2 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 სთ	სამედიცინო მასაჟი დუნე და სპასტიური დამბლების დროს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანებით ავადმყოფთა რეაბილიტაციაში.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
3 კვირა	სამუშაო ჯგუფში	სამედიცინო მასაჟი	„თერაპიის სახლი“



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

	მუშაობა 25 სთ, შუალედური გამოცდა 5 საათი	ახალშობილებში: ახალშობილის სხეულის წინა და უკანა ზედაპირების მასაჟი, მთლიანი სხეულის კლასიკური მასაჟი. სამედიცინო მასაჟი თანდაყოლილი კისერმრუდობის, ბარძაყის ამოვარდნილობისა და დისპლაზიის, ტერფმრუდობის დროს. სამედიცინო მასაჟი ჭიპის თიაქარის, რაქიტის, მხრის წნულის დაზიანების, ც.ნ.სისტემის ფუნქციების დარღვევის დროს, ბავშვთა ცერებრალური დამბლის დროს.	სადემონსტრაციო ოთახი
4 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 სთ,	რიტმული მასაჟის (რმ) ძირეული ფორმების გამეორება და სხვადასხვა დაავადების დროს მათი მოდიფიკაციები; რმ პროცედურების თანმხლები დოკუმენტაციის წარმოებაში ვარჯიში.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
5 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/შეფასება 30 სთ	რიტმული მასაჟის ფარგლებში ძირითად ორგანოთა შეზღვევა სხვადასხვა პათოლოგიის დროს; რმ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიებისა და ტრავმების დროს.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
6 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა 25 სთ შუალედური გამოცდა 5 საათი	რმ ნევროლოგიური დაავადებების, თავისა და ზურგის ტვინის დაზიანებებისას რეაბილიტაციის დროს. კინეზოთერაპიის ძირითადი პრინციპები სხვადასხვა ტიპის დამბლის დროს.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
7 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება სულ 30 სთ	რმ ნივთიერებათა ცვლისა და გამომყოფი სისტემის პათოლოგიების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ლიმფოლოგიური პრობლემების დროს. რმ მეან-გინეკოლოგიაში და ბავშვებთან სხვადასხვა პათოლოგიის დროს.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
8 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/შეფასება სულ 25 სთ	რმ და სხვა გარეგანი ზემოქმედების მეთოდები ფსიქიატრიული აშლილობების,	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		მენტალური და ფიზიკური შეზღუდვების დროს; კინეზოთერაპიის როლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციაში	
9 კვირა (არასრული)	დასკვნითი გამოცდა 15 საათი	2 კაცთან ჯგუფში პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება კონკრეტულ შემთხვევებში	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი

ხელმოწერა: